მთავრობის 199-ე დადგენილებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტიობების ფარგლებში შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა – www.worknet.gov.ge, სადაც შესაძლებელია სამუშაოს მაძიებლის, დამსაქმებლის და ვაკანსიების ონლაინ რეგისტრაცია.

2016 წელს სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 9929 (სულ 50 534) სამუშაოს მაძიებელმა.

www.worknet.gov.ge -სისტემაში დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის N333 დადგენილებით დამტკიცებული ,,დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში გაეწიათ შემდეგი სახის სერვისები:

1. **შრომის ბაზარზე ქცევის წესების" გაცნობა**

სამუშაოს მაძიებლებს ჩაუტარდათ ინდივიდუალური და ჯგუფური ზოგადი კონსულტირებები. შედეგად ინდივიდუალური კონსულტირება გაეწია სისტემაში დარეგისტრირებულ 3072 სამუშაოს მაძიებელს, ჯგუფური კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღო 891 სამუშაოს მაძიებელმა.

2. **საშუამავლო მომსახურება.**

სამუშაოს მაძიებელთა შერჩევის მიზნით 597 დამსაქმებლმა წარმოდგინა 3980 სამუშაო ადგილი, ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს, რომელთაგან შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა 2899 სამუშაოს მაძიებელი. სულ საშუამავლო მომსახურების ფარგლებში **დასაქმდა 216 პირი.**

3. **„სამუშაოს მაძიებელთათვის პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სერვისი"**

კარიერის დაგეგმვის მომსახურება ჩაუტარდა სისტემაში დარეგისტრირებულ 201 სამუშაოს მაძიებელს.

4. **მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობა.**

კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით სისტემაში დარეგისტრირებულ 91 შშმ პირს გაეწია კონსულტირება. სამუშაო ადგილების სუბსიდირების კომპონენტში ჩაერთო 12 ორგანიზაცია და 19 შშმ პირი. **აღნიშნული აქტივობის დასრულების შემდეგ ჩართულ 10 მათგანს 2017 წლიდან გაუგრძელდა შრომითი ხელშეკრულება.**

5. **დასაქმების ფორუმები.**

დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის ორგანიზებითა და თანამონაწილეობით ჩატარდა 10 დასაქმების ფორუმი.

ფორუმში- მონაწილეობა მიიღო 4386 სამუშაოს მაძიებელმა, 236 დამსაქმებელმა, **აქტივობის შედეგად დასაქმდა სისტემაში დარეგისტრირებული 249 სამუშაოს მაძიებელი.**

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 ივნისის N238 დადგენილებით დამტკიცებული,,სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“

2016 წელს 68 მოთხოვნად პროფესიაში განხორციელდა სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა.

პროგრამაში ჩართული იყო რეგიონების 19 და ქ.თბილისის 19 სასწავლო დაწესებულება, პროგრამაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა სისტემაში დარეგისტრირებულმა 2125 სამუშაოს მაძიებელმა. სწავლა დაიწყო 1995 სამუშაოს მაძიებელმა. სრულად დაამთავრა 1804 სამუშაოს აძიებელმა სასწავლო პროცესი დაიწყო სექტემბრის მეორე ნახევარში და დასრულდა დეკემბრის ბოლოს. **სატელეფონო გამოკითხვით 2016 წელს დასაქმდა 201 სამუშაოს მაძიებელი(სატელეფონო გამოკითხვა განხორციელდა 2016 წლის დეკემბრის ბოლოს), 2017 წლის გამოკითხვის შედეგად, დღეის მდგომარეობით დაემატა 126 კურსდამთავრებული (2016 წლის გადამზადებულთა სამუშაოს მაძიებლების გამოკითხვა მიმდინარეობს 2017 წლის მაისის თვიდან) .**

სტაჟირების კომპონენტის ფარგლებში 12 ორგანიზაციამ სტაჟირებით აიყვანა სისტემაში დარეგისტრირებული 47 სამუშაოს მაძიებელი. აქედან 22 შშმ პირი. 2016 წელს დასაქმდა 3 შშმ პირი. 2017 წელს შრომითი ხელშეკრულება გაუფორმდათ 18 სამუშაოს მაძიებელს.

ზემოთ აღნიშნული აქტივობების შედეგად 2016 წელს სულ დასაქმებულია 670 სამუშაოს მაძიებელი. (მათ შროის 58 შშმ პირი.)

დამატებით გაწვდით 2015-2017 წლებში განხორციელებული სახელმწიფო პროგრამების შედეგად დასაქმებულთა ინფორმაციას.

„დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის“ აქტივობების მიხედვით:

1. საშუამავლო მომსახურების ფარგლებში- თავისუფალ სამუშაო ადგილზე გაგზავნილი სამუშაოს მაძიებლებიდან 2015 წელს, დასაქმებულია 213 სამუშაოს მაძიებელი, 2016 წელს 216 და 2017 წელს მაისის მდგომარეობით 202 სამუშაოს მაძიებელი.

2. დასაქმების ფორუმების ფარგლებში -2015 წელს დასაქმებულია 100 სამუშაოს მაძიებელი, 2016 წელს 249 და 2017 წელს მაისის მდგომარეობით 541 სამუშაოს მაძიებელი.

3. მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობი აქტივობების ფარგლებში- სამუშაო ადგილების სუბსიდირების კომპონენტში ჩართული იყო 8 ორგანიზაცი, სადაც სუბსიდირების კომპონენტით მომსახურება გაიარა 19 შშმ სამუშაოს მაძიებელმა. 2017 წელს შრომითი ხელშეკრულება გაუგრძელდა 10 შშმ პირს.

„სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“.

2015 წელს პროფესიული-მომზადება გადამზადების 415 კურსდამთავრებულებიდან დასაქმდა 35 სამუშაოს მაძიებელი (2015 წლის გადამზადებულთა სამუშაოს მაძიებლების გამოკითხვა განხორციელდა 2016 წლის მარტი, აპრილის თვეში). 2016 წელს დეკემბრის ბოლოს 1804 კურსდამთავრებულებიდან დასაქმდა 201 სამუშაოს მაძიებელი. 2017 წლის გამოკითხვის შედეგად, დღეის მდგომარეობით დაემატა 126 კურსდამთავრებული.

2015 წელს სტაჟირების კომპონენტის ფარგლებში დასაქმდა 1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სამუშაოს მაძიებელი. 2016 წელს 3 შშმ პირი, 2017 წელს შრომითი ხელშეკრულება გაუფორმდა 18 სტაჟიორს.